ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის ოცდაექვს ნოემბერს, მე - **ციური ბერიძეს**, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ქალბატონმა **მაია კიკალიშვილმა** (დაბ. 1974 წლის 05.12 პირადი № 35001055369 რეგისტრირებული ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ,. 1, კორპ. 23, ბ. 49). მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული რეესტრიდან შპს "მშვილდოსანი"-ს (ს/კ 406100348) შესახებ, გაცემული 2013 წლის 21.08 მდგომარეობით და განაცხადა რომ როგორც ამ საზოგადოების დირექტორსა და წარმომადგენლობით უფლებამოსილ პირს სურს გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ **მამუკა სირაძეს** (დაბ. 1984 წლის 03.02, პირადი № 01010013468, რეგისტრირებული ქ. თბილისი, შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30).

მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე დავალების გარიგებას ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცამეტი წლის ოცდაექვს ნოემბერს, ქალბატონმა **მაია კიკალიშვილმა** (დაბ. 1974 წლის 05.12 პირადი № 35001055369 რეგისტრირებული ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ,. 1, კორპ. 23, ბ. 49), როგორც შპს "მშვილდოსანი"-ს (ს/კ 406100348) დირექტორმა-შემდგომში "მარწმუნებელი".

სრული უფლებამოსილება მიანიჭა ბატონ **მამუკა სირაძეს** (დაბ. 1984 წლის 03.02, პირადი № 01010013468, რეგისტრირებული ქ. თბილისი, შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30)-შემდგომში "რწმუნებული" იყოს მისი სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი შემდეგი საქმიანობის საწარმოებლად კერძოდ:

1. იყოს შპს "მშვილდოსანი"-ს წარმომადგენელი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში,ქ. თბილისის მერიაში, გამგეობაში, საჯარო რეესტრის, არქიტექტურულ, საკადასტრო და სხვა შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებში, ქ. თბილისი, შარდონ პეტეფის მიმდებარედ/ქ. თბილისი, შარდონ პეტეფის (წულუკიძის) III შეს. № 15-ში შორის მდებარე უძრავ ქონებასთან მიმართებაში (ს.კ № 01.17.10.002.210) სარეკონსტრუქციო, სამშენებლო-საპროექტო ნებართვებისა და მშენებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტაციის გაფორმებისას.

2. მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად, მიიღოს სარეკონსტრუქციო, სამშენებლო პროექტი, შეთანხმებული დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვა. საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს არსებული პროექტის კორექტირება. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან

3. იყოს წარმომადგენელი ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების და კომუნალური მომსახურების სამსახურებში, ნებისმიერ ინტერნეტპროვაიდერ კომპანიაში, გამრიცხველიანებასთან, გაზიფიკაციასთან ან ნებისმიერ სხვა ქმედებასთან დაკავშირებული იურიდიული და ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებისას, ხელი მოაწეროს მარწმუნებლის მაგიერ სააბონენტო ხელშეკრულებას, განცხადებას. გადაიხადოს ყველანაირი გადასახადი, მოსაკრებელი..

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს სამი თვის მოქმედების ვადით.

დავალების ხელშეკრულება ხელმოწერილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31.7.-მუხლის საფუძველზე- 10 ლარი, მუხლი 39- ის საფუძველზე- 2 ლარი- ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-1,80 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169 -ე მუხლის თანახმად. სულ 13,80 ლარი.

საქართველო GEORGIA ნოტარიუსი ციური ბერიძე NOTARY PUBLIC TSIURI BERIDZE 01008012847

მაია კიკალიშვილი

ნოტარიუსი ციური ბერიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

87675107744013

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131236623

რეგისტრაციის თარიღი

26.11.2013 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18